

# საქართველო

IX წ.

საყოველთაო გაზეთი.

IX წ.

№ 13.

კვირა, 25 მარტი 1901 წელსა.

№ 13.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შური.

**ხელას-მოწერა დაიღება:** თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15.

**ტელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

**შინაარსი.** მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენცია.—შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარგარეთ.—ცოლი და ქმარი, მოთხ. ეგ. ნინოშვილისა.—გაზაფხული, ლექსი ი. ევლოშვილისა.—ქუთაისი და ხონი, სტ. შავდასის.—ბიბლიოგრაფია რაქდენ ალაძისა.—ახალ-სენაკის სტამბა-წიგნის მალაზიის დახურვის გამო კ. თავართქილაძისა.—განცხადებები.


ვაყსადებთ ხელის-მომწერთა საყურადღებოთ, რომ ვისაც ორი მანეთის მეტი არა აქვს შემოცანილი, ამ თვის ვასულიდან გაზეთის ვაზენა მოესპობა.

## მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.

### II. ნაციონალისტები.

#### 2. კ. ა. შ. უ. ტ. ა.

შველამ იცის, რომ ავსტრიის სამეფოს მეორე ნახევარს შეადგენს ვენგრია, რომელსაც მინიჭებული აქვს სრული თვით-მმართველობა, საკუთარი პარლამენტი, სამინისტრო, ბიუჯეტი, მხედრობა და სხ. ერთი სიტყვით, ვენგრია თითქმის დამოუკიდებელი ქვეყანაა და ავსტრიასთან ერთდება მხოლოდ საერთო ტახტით. მაგრამ იყო დრო, და მას აქეთ არც ისე დიდი ხანია, რომ ვენგრია ავსტრიის ერთ მონა-მორჩილ პროვინციას შეიცავდა, მოკლებულს თვით-მმართველობასა და დამოუკიდებლობას. და აი, ვენგრიამ განვლო ეს მისი დამპყრობელი ხანა და მიაღწია იმას, რაც დღეს აქვს. ამ პროცესის ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი



და ვენგრიის თავისუფლებისათვის დიდი მებრძოლი არის კოშუტი.

ლიუდვიგ კოშუტი, შვილი გალარიბებული აზნაურისა, დაიბადა 1802 წ. მან შეისწავლა იურისპრუდენცია და ჩაეწერა ვექილთა შორის. შესანიშნავმა მქვერმეტყველობამ მას შესძინა დიდი პრაქტიკა და მოუბოვა დიდი გავლენა სამშობლო ქალაქში. 1831 წ. ის გადავიდა ვენგრიის დედა-ქალაქ ბუდაპეშტში. 1832 წ. მას ჩააბარეს „ლანდტაგის გაზეთის“ რედაქტორობა, საიდანაც გაისმა მისი ძლიერი ხმა თავისუფლებისათვის. „ეს გაზეთი იყო პირველი გამოცემა, რომელიც აგებინებდა საზოგადოებას ლანდტაგის (ანუ სეიმი) ბუკობას და გადაწყვეტილებას, აგრეთვე ის შეიქმნა მიზეზათ გონებრივი მოძრაობისა ვენ-



გრიაში“—სწერს ერთი ბიოგრაფი. შეშინებულმა მთავრობამ აკრძალა გაზეთის გამოცემა, კომუტმა ამას ყურადღება არ მიაქცია და განაგრძნო გაზეთის გამოცემა, მაშინ ის დააპატიმრეს და ოთხი წლის ციხე გადაუწყვიტეს. ამ გადაწყვეტილებამ ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა გამოიწვია ხალხში, რომ მთავრობა იძულებული გახდა ვადის გასვლამდის განეთავისუფლებია კომუტი. განთავისუფლებულ კომუტს შეუგროვეს 10,000 ფლორინი და ისიც შეუდგა აგიტაციის მთელს ვენგრიაში. 1847 წ. ის აირჩიეს ლანდტაგის წევრათ და გამოსცა თავისი პოლიტიკური პროგრამა: განთავისუფლება გლეხებისა, მწერლობის თავისუფლება, გაუქმება გლეხთა მუქთა შრომისა ბატონების თუ სახელმწიფოს სასარგებლოთ და სხ. კომუტი შეიქმნა ოპოზიციის ზომიერი მეთაური. 1848 წ. პარიზის რევოლუციამ გადმოხეთქა ავსტრიაში და ვენაში მოხდა აჯანყება. კომუტი ერთიანათ მიეცა რევოლუციურ მოძრაობას, დასტოვა თავისი ზომიერობა და გამოიწვია რადიკალური მოძრაობა. 3 მარტს ავიდა ის ლანდტაგის ტრიბუნაზე და წარმოსთქვა ისტორიული სიტყვა. „ჩვენ ვაგორებთ სიზიფის ლოდს, —დაიწყო მან,—და უძრავობისაგან წარმოშობილი ტკივილებით გარემოცულია ჩემი სული. დიახ, რაღაც სულის შემხუთავი ორთქლი გვახრჩობს ჩვენ. ვენის მთავრობის კორიდორებიდან ჰქრის ჩვენი გამათახსირებელი ქარი, რაიცა ასუსტებს ჩვენს ნერვებს და აბნეივებს ჩვენს გონებას... ჩემი ღრმა რწმენაა, რომ ჩვენი მეფის გვარის მომავალი შეკავშირებულია სამეფოს სხვა-და-სხვა ხალხთა ძმობასთან, ხოლო ეს ძმობა არსებულ ერთა პატივისცემითურთ შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციის საშუალებით. ჯალათი და კონდახი ერთი უსაწყლესი შემაერთებელი საშუალებაა“. ამ სიტყვამ ააბოზოქრა მთელი ვენგრია. მაშნვე შედგა დეპუტაცია და კომუტის მეთაურობით ვენაში მეფის წინაშე გაიგზავნა კონსტიტუციის და თვით-მმართველობის გამოსათხოვათ. ვენის მცხოვრებლები კომუტს აღტაცებით დაუხვდნენ: მას უმართავდნენ დაუსრულებელ ოვაციებს, როგორც თავისუფლების და ჩაგრულთა წინამორბედს. ამან გავლენა იქონია მთავრობაზე და კომუტს მიანიჭა ის, რასაც ითხოვდა, ესე იგი კონსტიტუცია პარლამენტით და სამინისტროთი და სრული თვით-მმართველობა. 17 მარტს შედგა ვენგრიის პირველი სამინისტრო ბათიანის თავმჯდომარეობით, კომუტს ჩააბარეს ფინანსები. მაგრამ არისტოკრატ ბათიანს და დემოკრატ კომუტს შორის ჩქარა ჩამოვარდა განხეთქილება. ბათიანმა თავისი მოქმედებით გამოიწვია კროატოლთა უკმაყოფილება და ამბოხებაც. ამ დროს ვენაში მთავრობამ გაიმარჯვა რევოლუციონერებზე და დაიწყო რეაქცია. ვენის მთავრობამ კიდევ უფრო ააღელვა კროატელები ვენგრიის წინააღმდეგ, რომ ამით დაესუსტებია ვენგრია. ახლა-კი მიხვდნენ, თუ რა სწადდა ავსტრიას და კომუტმაც წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა პარლამენტში (11 ივლისი 1848 წ.), რაიცა ასე დააბოლოვა: „რომ სამინისტრომ იხსნას სამშობლო განსაცდელისაგან, საქირაო მთელი ერის თავის დადება, მთელი მისი ძალღონის ამოძრავება. ამისათვის მე ვითხოვ 200,000 მეომარს და 42 მილიონ ფლორინსო“. აღფრთოვანებული პარლამენტი ერთხმად მიემხრო ორატორს და შეუდგნენ საომრათ მზადებას. ბათიანი გადადგა სამინისტროსაგან.

მეფემ არ იცნო ახალი სამინისტრო და ვენგრიის წინააღმდეგ გაგზავნა ჯარები, რომელიც დამარცხებულ იქმნა ბუდაპეშტთან. ახლა-კი გამოცხადდა აშკარა განდგომა და კომუტი შეიქმნა მეთაური ეროვნული დაცვისა. კომუტი ჩქარა მიხვდა იმას, რომ ვენგრიის კონსტიტუცია მქიდროთ შეკავშირებულია ავსტრიის კონსტიტუციასთან და, მაშასადამე, გამარჯვება ვენის რევოლუციისა იქნებოდა გამარჯვება ვენგრიისა. და აი, კომუტი 46 ათასი კაცით გაემგზავრა ვენის მისახმარებლათ. მას მთავრობამ გამოაგება 100,000 ჯარი და ვენის ახლოს არ მიუშვა. ვენის რევოლუციონერთა ცდამ—კომუტის ჯართან შეერთებულებიყვენ—ამათ ჩაიარა და თვით კომუტიც იძულებული გახდა ისევ ვენგრიის საზღვრებში შექოსულიყო. ვენაში გაიმარჯვა რეაქციამ, მეფე ფერდინანდი გადადგა და ტახტზე ავიდა ფრანც იოსები, რომელმაც ვენის დასასჯელათ დიდი ჯარი გაგზავნა თავადი ვინდიშგრეცის წინამძღოლობით. კომუტი და მისი ამხანაგები გამოაცხადეს ქვეყნის მოღალატეებათ. ამანიართ, ომი ავსტრიასა და ვენგრიას შორის დაიწყო. კომუტმა მოიარა მთელი ვენგრია და მოჰკრიბა დიდძალი სარევოლიუციო ჯარი. ავსტრიის ჯარი მიადგა ბუდაპეშტს, კომუტის მთავრობა გადავიდა მეორე ქალაქში, ამასთანავე ვენგრია გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკათ, რომლის დროებითი მმართველათ კომუტი დაინიშნა. ავსტრიის ჯარები დაამარცხეს და ასე დემოკრატიულმა ვენგრიამ ძირი მოიმარგა. ავსტრიამ შემწეობა სთხოვა რუსეთს, რომელმაც გამოჰგზავნა 130,000 მეომარი პასკევიჩის სარდლობით. კომუტმა „ცივილიზაციის“ და „კაცთ-მოყვარეობის“ სახელით მიმართა ევროპას და დახმარება სთხოვა. ამასობაში ავსტრიის და რუსეთის შეერთებულმა ჯარებმა დაამარცხეს ვენგრიის ჯარები. ავსტრიის მთავრობა გამაგრდა ვენგრიაში, კომუტი და მისი ამხანაგები სათათრეთში გაიქცნენ. კომუტი ავსტრიის თხოვნით აქ დაიქირეს, მაგრამ რამდენიმე ხნის პატიმრობის შემდეგ ხვანთქარმა ისევ გაანთავისუფლა. მთავრობამ მოსპო კონსტიტუცია როგორც ავსტრიაში, ისე ვენგრიაში. ვენგრია გახდა უბრალო დამორჩილებულ პროვინციათ და დაუნიშნა სამხედრო მმართველი. კომუტი გადავიდა ამერიკაში და გამართა დიდი აგიტაცია ვენგრიის სასარგებლოთ. შემდეგ დაბრუნდა ევროპაში და მაძინისთან ერთად დააარსა ინტერნაციონალური დემოკრატიული საზოგადოება, რომლის მიზანი იყო რევოლუციური მოძრაობის გამოწვევა მთელს ევროპაში. მანვე დააარსა ეგრედ წოდებული გენუას კომიტეტი ვენგრიელთა, პოლონელთა და იტალიელთა შესაერთებლათ საერთო ბატონის—ავსტრიის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მან შეადგინა ვენგრიელთა ლეგიონი და დაენმარა გარიბალდს თავის ომებში (1859 და 1866 წლ.) და სამუდამოთ დასახლდა იტალიაში.

ავსტრიის მთავრობამ, დამარცხებულმა 1859 წ. იტალიელთა მიერ, აშკარათ დაინახა, რომ ძველი პოლიტიკური სისტემით ქვეყნის მართვა აღარ შეიძლებოდა და შემოიღო კონსტიტუცია. ვენგრიას მიენიჭა პარლამენტი, სამინისტრო და თვით მმართველობა. ასპარეზზე გამოვიდნენ შუათანა მოღვაწენი დეაკის მეთაურობით და შეუდგნენ შემარჩებელ პოლიტიკის ქადაგებას. ამასთანავე გამოიცა საერთო ამნისტია ყველა გაქცეულთა და დაპატიმრებულ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის. ამით არ ისა-





რგებლა კომუტმა, ის ვერ შეურიგდა ლიბერალურ და დამოკიდებულ ვენგრიას და თუმცა ის ბუდაპეშტში დეპუტატთა აირჩიეს, მაგრამ მან არ მიიღო ეს არჩევა და არ შემოვიდა სამშობლოში. ის გადაიხვეწა იტალიაში 1894 წ. და დიდის ამბით გადასვენეს ვენგრიაში. მას დასტიროდა მთელი ევროპა, მთელი მოწინავე კაცობრიობა, როგორც უდიდეს დემოკრატს და თავისუფლების მებრძოლს.

**პირობების მიხედვით შინაური მიმოსილება.**

დღეს წინათ ჩვენ ვწერდით, ვარჯი იქნება თფილისის ნაფიც ვეჟილთა პრიონციის ქალაქთა ვეჟილებშაჲ შიბაძონ და დაარსონ ვეჟილთა კომისია ლარინი ხალხისათვის მუქთად დარღვებს მისაცემათ: და აი, ეს ასე მალე განახორციელეს ქუთაისის ვეჟილებშა. ამ თვის 11-ს აქ კიდევაც ამოუჩვენიათ ამ კომისიის თანამდებობის პირნიც და გუბერნატორსაც ბრძანება გაუცია კერძო სავეჟილო კანტორები ქუთაისში დაიკეტოს და გაქირვებული ხალხის ძარცვას ბოლო მოეღოს. ამნაირათ, ქუთათურთ ამიერიდან შეეძლებათ მცირე ჯილდოთი ან სრულიად მუქთად მიიღონ იურიდიული დახმარება, დახმარება მართალი და სწორი და მით, აბლაკატთა ბრძკალებისაგან განთავისუფლდენ ქუთაისის ადვოკატებს ესაყვედურებოდენ, სპეციალურ კონდას მხოლოდ თავის სასარგებლოდ იყენებენ და საზოგადოებას არავითარ სამსახურს არ უწევენ და ეს მართლაც ასე იყო დღევანდლომდის, დღეს-კი იმათ მოუწადინებიათ შეერთებული ძალ-ღონით საზოგადოებასაც დაეხმარონ და მით თავისი კერძო, ვიწროთ შემოფარგლული სამოქმედო ფარგლიდან გამოვიდენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ახალ გზას ისინი აღარ გადასცდებიან და, პირიქით, კიდევაც უფრო და უფრო გააგანირებენ. არსად იმდენი საჩივრები არ არის, რამდენიც იმერეთშია, არსად ისე არ ეტანებიან სასამართლოებს, როგორც აქ და ასეთ პირობებში გაქირვებულთა შველა და ამდვილი გზის ჩვენება სწორედ ზეცილიდან ჩამოვარდნილი მანანაა. მაგრამ ვაი თუ ახლად დაწყებული საქმე ჩქარა ჩაქრეს და თანაც კერძო სავეჟილო კანტორებიც დახურული დარჩეს. ამას მომავალი დავგანახებებს.

ამ კომისიის მოხელეთა არჩევაში ერთ საყურადღებო გარემოებასაც ვამჩნევთ. თავმჯდომარის ამხანაგათ არჩეულ იქმნა დ. კვიციანი, რომელსაც მეორე ნაფიცი ვეჟილი ბ. ს. ჯაფარიძე ამტყუნებს იურიდიულ სიყალბის ჩადენაში. ეს საქმე, ორივეს თანხმობით, გამოსარკვევათ და მსჯავრის დასადებათ გადაეცა მათ ამხანაგთ, ნაფიც ვეჟილთ. ჩვენ ამის შესახებ არ გამოგვითქვამს ჯერ ჩვენი აზრი და არც ახლა ვამბობთ, რაკი საქმე ამხანაგთა ან მედიატორეთა სასამართლოს გადაეცემა—გონიერება მოითხოვს მათ გადაწყვეტილებას მოგუცადოთ და არა წინდაწინვე წასჩურობით მწერლობის საშუალებით ამა თუ იმ ამხარის გამტყუნება. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რომელია მართალი, ბ. კვიციანი თუ ბ. ჯაფარიძე; ამას აღრე ვაგვაგებინებენ მათი ამხანაგები, მაგრამ ამ უკანასკნელთა გულის ზრახვას რამოდენიმეთ ვაგტყობინებს მათ მიერ კვიციანის და არა ჯაფარიძის არჩევა კომი-

სიაში. თუ ბ. კვიციანი მტყუნანათ მიაჩნიათ ჯაფარიძის ბრალდებში; ე. ი. თუ მან მართლა მოიმოქმედა იურიდიული სიყალბე—და მაინც მას ანიჭებენ ასეთ საპატიო თანამდებობას, ცხადია, ქუთათური იურისტებიც ამართლებენ ასეთ დანაშაულობას და მით ისინიც კვიციანის მეორე პირნი ცოფილან და მეტი არაფერი. ამ შემთხვევაში ბ. კვიციანი, როგორც კვიციანი, ჰქრება ბ. ჯაფარიძის ბრალდებისაგან და მის ალავს იტყოს ქუთაისის იურისტთა მთელი კორპორაცია, რომელიც, როგორც გაბიროვნებული კვიციანი, ბრალდებულის სკამზე უნდა დაჯდეს, ხოლო ბ. ჯაფარიძე კი—ბრალდებულის. ერთი სიტყვით, ამკარაა რომ ქუთაისის იურისტები მხარს უჭერენ ბ. კვიციანის და, მაშასადამე, ბ. ჯაფარიძეც აი, ამათ უნდა შეებრძოლოს და კვიციანის დახასიათებით დაგვიხასიათოს მისი მფარველობაც. და ამთუ ბ. ჯაფარიძემ ეს ვერ შესძლო, თუ ის მტყუნანი გამოვიდა ამ საქმისაგან, ცხადია იმას აღარ დაეღამილება თავის ამხანაგთა შორის და ნაფიც ვეჟილთა კორპორაციიდანაც უნდა გამოვიდეს. აი ასე ვართუდდა ამ ქაშაშთ კვიციანი-ჯაფარიძის საქმე და კარგი იქნება ამის შესახებ დროზე მოგვაწვდიდენ რამიმე გადაწყვეტილებას.

თფილისის სთავად-აზნაურთა მამულების გამგე კომისიის ამგები ქართული თეატრის შესახებ არა ერთხელ გვსმენია. ამ კომისიის წყალობით ქართულ დრამატიულ საზოგადოებას გადახდა ჯარიმები და კინალამ ვალში ჩაიფლა. ეს ყველამ იცის და ამის განმეორება საჭირო აღარ არის. მაგრამ ყველამ არ იცის, რანაირი პირებისაგან შედგება ეს კომისია და ვის ჰქონია მინდობილი მილიონათ ღირებული შენობების მართვა-გამგეობა. ამ პირებს ასე გვაცნობს თფილისის ოლქის სასამართლოს 16 მარტის განჩინება. 1900 წ. 5 ოქტომბერს ყოფილა სხდომა გამგე კომისიისა და ლაბარაკი დაუწყიათ თეატრის ელექტრონით განათების შესახებ. აქ აღუძრავთ კითხვა, თუ ვინ უნდა ზღოს ის ზარალი, რომელიც თავად-აზნაურობას მოუვიდა „უნიონთან“ ხელ-შეკრულობის უწყსოთ შედგენის გამო. წვერს კომისიისას ბ. ყავრიშვილს, სხვათა შორის, უთქვამს: ჩვენ შორის გვირგვია ერთი წვერი ქურდა და მექრთამე, რომლის წყალობითაც ჩვენ ეს საქმე მოგვივიდაო. ამაზე მეორე წვერს გედევანიშვილს უთქვამს—„ქურდი და მექრთამე შენა ხარო“ და სხ. ამ გინებას მოჰყოლია ცემა, ცემას კიდევ გედევანიშვილის საჩივარი: ყავრიშვილმა მცემაო და ბოლოს ყავრიშვილის გამართლება. ახლა, ერთი მითხარით, როგორ მოგწონთ ეს კომისია, რომლის წვერები ერთმანეთს ქურდობას და მექრთამეობას აბრალბდენ? განა ასეთ ერთი მეორის მოქიშვე პირთ მიენდობათ საერთო საქმე, და ისიც ფულის საქმე, საწარმოებლათ? ახლა აღვილათ ასახსნელია, თურატომ ვერ შეუსრულა კომისიამ პირობა დრამატიულ საზოგადოებას და მით ის განსაცდელში ჩააგდო...

თფილისის თვით-მმართველობამ ამდენი ხანია ერთ უბრალო საქმეს ვერ მოაბა თავი. ის ებრძვის ყასბებს და ვერა გზით ვერ დაიმორჩილა. საბჭო გამოსცემს ერთ ნიხრს, ყასბები-კი მეორე ნიხრით ვაქრობენ. და ასე, ვართ ხორცის მყიდველები ამ მებრძოლთა



შორის გამოქყეტილი. მაგრამ ყასბებს საბჭოს და ქალაქელთა დამორჩილება არ უკმარებია და მოუნდომებია სოფელთა დამორჩილება. მათ შეუდგენიათ ამხანაგობა, რომლის თვითოეული წევრი ვალდებულია საკლავო საქონელი ერთ ალაგას იყიდოს, რასაკვირველია, იმ ფასებში, რაშიაც სხვები ყიდულობენ ასეთ პირობებში. კონკურენცია ყასბათა შორის ისპობა და კონკურენცია საქონლის გამყიდველთა შორის მატულობს. შეამხანაგებული ყასბები რანაირი მაზანდაც სურთ, ისეთს დაადებენ საქონელს და სოფლის ხალხიც იძულებული იქნება მათს მაზანდაც დაემორჩილოს. ამნაირათ, ყასბები შეთანხმებულათ იყიდინან საკლავს იაფათ და შეთანხმებულათვე გაყიდინან ხორცს ძვირათ! ერთი დაკვრით ორი კურდღელი კვდება! ამას არაფრით არ მოვევლება მანამდის, სანამ თვით ქალაქი არ გახსნის საყასბოს და ყასბებს არ შეეცილება. თუკი ბათომში მოახერხეს ეს, რატომ თფილისში არ შეიძლება მოხერხდეს?..

**სხვა-და-სხვა ამბები.**

ქუთაისის დრამატიულმა დასმა დაასრულა თავისი გასტროლები თფილისში. უნდა ითქვას, რომ საზოგადოება ძალიან გულ-გრილათ შეხვდა ამ დასის წარმოდგენებს. ამის მიზეზია ორი: ერთი უდროოდ-დროობა, როცა თითო კაპეიციკი სალდგომოთ ინახება და იხარჯება, ხოლო მეორე მიზეზი თვით დასია. გარდა მესხიშვილისა და ჩხეიძის ქალისა (აგრეთვე რამოდენიმე გვეტაძის ქალი-სა) დასი არფითარ ძალას არ წარმოადგენს. დანარჩენი არტისტები არა თუ ხელს უწყობენ ამ პირთა თამაშს, არამედ პირდაპირ ხელს უშლიან და მით ანსამბლს ერთიანათ აფუჭებენ. ჩვენ გვაკვირვებს, ამ „არტისტებით“ როგორ სულდგმულობს ქუთაისის სცენა, დიდი მოთმინება უნდა ჰქონდეს ქუთაისის საზოგადოებას, რომ ამათ კვირაში ერთხელ სცენაზე ჰხედან... ერთად ერთი ბ. წუწუნავა არ აფუჭებდა თავის პატარა როლებს, დანარჩენებმა (განსაკუთრებით ბ. თუთბერიძემ) სრულიად დაგვაიწყა ესტეტიური სიამოვნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ქ. ნ. ჩხეიძის დიდი გაუმჯობესება სულ ამ რამდენისამე თვის განმავლობაში. მან პირველი კლასის არტისტის ნიჭი გამოიჩინა „უბედურ ნაბიჯში“ (სამშაბათს) და ეს საუცხოო პიესა ძლიერ შეგვაყვარა. კარგი იქნება ამ პიესას ხშირათ დადგამდენ ქართულ სცენაზე (აგრეთვე სახალხო თეატრშიაც). ამ პიესის ნახვა სწორედ რომ ღირს და ის ჩვენი რეპერტუარის ერთი დამამშვენელი იქნება.

წარსულ კვირას კუკიის სასაფლაოზე დაკრძალულ იქმნა გვამი რუსის ცნობილი მწერლის ივანე ივანეს ძე სვედენცევისა. დასაფლავებას დაესწრო მრავალი ხალხი და რუსული, ქართული და სომხური ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელი.

პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ მუშათა დაზღვევის პროექტის განხილვას, რომელიც ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრებამ შეიმუშავა, ამ ჟამათ მიწადმოქმედების სამინისტრო შეუდგა.

კავკასიის მთავარ-მართველის საბეითალო ნაწილში ლაპარაკი აღძრულა იმის შესახებ, რომ კავკასიაში საბე-

ითალო საფერშლო სასწავლებელი იქმნას დაარსებული იქნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას გადაუდვია 285,000 მან. ქიათურის რკინის გზის შტოს განსაგრძობათ დარკვეთის სადგურიდან საჩხერემდე 5,87 ვერსის მანძილზე.

როგორც შევიტყეთ, სერგეი წერეთელს შეუწირავს 500 მან. „ქართ. შორის წ.-კ. გამ. საზოგადოებისათვის“.

ხუთშაბათს, 22 მარტს, თფილისის გუბერნატორის ბინაზე გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ბ.ნ სვეჩინის თავმჯდომარეობით მოხდა კრება შინაგან საქმეთა, ფინანსთა და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროთა უწყების წარმომადგენელთა, რომელზედაც შეიმუშავეს წესი კავკასიაში თამბაქოს პლანტაციებში მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ზომების მისაღებათ.

უმთავრესმა საექიმო დეპარტამენტმა, მიიღო-რა მხედველობაში ფერშლების სრული სამკურნალო მოუმზადებლობა, აღუკრძალა მათ დამოუკიდებელი საექიმო პრაქტიკა.

მოგვყავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დადგენილება შესახებ საბალოსნო სკოლისა: 1) მიღებულ იქმნას თხოვნა სკოლის მზრუნველის ფიგუროვსკისა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ და გადაეცეს აღმინისტრაციული და სამეურნეო საქმეები სკოლისა სამეურნეო კომისიას; 2) შეწყვეტილ იქმნას სკოლაში სწავლა; 3) წინადადება მიეცეს სკოლის გამგეს გადასცეს სკოლის ყველა საქმეები უფროსს მასწავლებელს და მოსძებნოს სხვა ადგილი. ჯამაგირი მიეცემა მას ორი თვის განმავლობაში; 4) წინადადება მიეცეს მასწავლებელ მ—ს თავი დაანებოს სკოლას; 5) გამოირიცხოს სამსახურიდან სკოლის ეკონომი (იგივე ფერშალი) და 6) წინადადება მიეცეს სამეურნეო კომისიას წარმოადგინოს, რაც შეიძლება მოკლე ხანში, სკოლის რეორგანიზაციის პროექტი.

დ. ზუგდიდის მცხოვრებლებმა შეამდგომლობა აღძრეს, რომ ზუგდიდში შემოღებულ იქმნას საქალაქო მმართველობა შემოკლებულის წესით, თანახმად 1892 წ. საქალაქო დებულებისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც იტყობინებიან, ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ უმეტესი ნაწილი ზუგდიდის მიწებისა ეკუთვნის უგან. თავადს მინგრელსკის და მხოლოდ უმცირესი ნაწილი შეადგენს კერძო მებატრანეთა საკუთრებას. ამის გამო სამინისტრომ საჭიროდ დაინახა, თავ. მინგრელსკის თანხმობით, უმაღლესი ნება-რთვა აიღოს იმისა, რომ თავ. მინგრელსკის უფლება მიეცეს უსასყიდლოდ გადასცეს ზუგდიდს ქალაქისათვის საჭირო მიწები ქუჩებისა, მოედნებისა და სასაფლაოებისათვის და აგრეთვე ჩამოერთვას კერძო მებატრანეთ წერილობითი პირობები, რომ ისინიც შესწირავდნ მომავალ ქალაქს მიწებს. ამასთანავე სამინისტრომ მიანდო ქუთაისის გუბერნატორს შეადგინოს გეგმა დ. ზუგდიდისა და აღნიშნოს ზედ საზღვრები მომავალ ქალაქისა და აჩვენოს, რომელი მიწა ვის ეკუთვნის ამ ჟამათ და სხვა.





21 მარტს თფილისის ყაზბეგს წარუდგენიათ ქალაქის თავისათვის ხორცის ვაჭრობის ამხანაგობის პროექტი. მიზანი ამხანაგობისა—წევრებისათვის საქონლის ყიდვა პირდაპირ მეპატრონეთაგან, უმაკლეროთ და უკომისიონეროთ. ყოველ ყაზაბს შეუძლია ვახდეს ამხანაგობის წევრი; გამგეობა შესდგება 10 კაცისაგან, რომელთაგან 7 საქონელს იყიდის და 3 ამხანაგობის ფინანსებს განაგებს. ამხანაგობა დაიწყებს მოქმედებას, როცა საამხანაგო ფული 3,000 მან. ავა. თითოეულ წევრს შეაქვს ამხანაგობის კასში 10 კაპ. ყოველ დაკლულ მსხვილ ფეხს საქონელზე და 5 კ. წვრილ ფეხზე. გარდა ამისა, როცა წევრი ყიდულობს საქონელს, იგი მოვალეა გადაიხადოს ამხანაგობის სასარგებლოთ 10% გადახდილ ფასისა. საქონლის ყიდვა შეიძლება მხოლოდ ვასაყიდ საქონლის ბაჟში. ვინც რომელსამე წესს ხელ-შეკრულობისას დაარღვევს, მას გადახდება ჯარიმათ 100 მან. ამხანაგობის სასარგებლოთ. ხელ-შეკრულობის ვადა 3 წელიწადი, თუმცა ამ ვადამდე შეიძლება ამხანაგობიდან გამოსვლა.


„ქუთაისის საგ. უწყებაში“ დასტამბულია ქუთაისის გუბერნატორის ბრძანება იმის შესახებ, რომ აღმინისტრაციამ დახუროს ყველა კერძო კანტორები, სადაც სწერენ თხოვნებს სასამართლო დაწესებულებათათვის და სადაც საადვოკატო რჩევას აძლევენ. გუბერნატორის ბრძანებაში ნათქვამია, რომ ამნაირ კანტორებს ვნება მოაქვთ უვიც ხალხისათვის და ამ ჟამათ აღარც არიან საჭირონი, რადგანაც ქუთაისის საოლქო სასამართლოსთან დაარსდა ვექილების ბიურო, სადაც საჭირო დარიგებას და რჩევას მიაწვდიან მსურველთა.

ქ მ რ ი ს კ მ ნ დ მ ნ ს ი მ მ ი.

ს. წინარეხი. სოფ. წინარეხი მეტად მწირი და ზატარა სოფელია გორის მაზრაში. მისი მცხოვრებნი (70 კომლი თუ ცოტა მეტ-ნაკლები) ხვანთესვის კარდა, მეგვენასობასაც მისდევენ, მაგრამ ადგილ-მდებარეობის გამო ისეთი უფარვისი ღვინო უდგებათ, რომ სმარტხინოთის მაზრაში ვერ გამოიტანება და, თუნდ კიდევ გამოიტანს, მაინც ფასს არას მისცემენ. ამის გამო ვენახებიც ისე ზატარები გაუშენებიათ, რომ ღვინო იმდენი დააყენონ, რომელიც გაჭირვების დროს თვითონ მოუნდებათ. სხსნავ-სამკვარი ადგილებიც ძალიან მცირედ მოუზოგებიათ, რის გამოც ვერც მონაშენი საქონელი შეუხსნავთ და ვერც საშუალო. მამულებისავე სიფიწროვისა გამო იმდენს ხვებენ, რომ მოსავლიანი წელიწადიც რომ დაუდგეთ, მაინც ხსენვარსად მეტ სოფელს მეორე მოსავლამდე ზური სსსიდელი გაუნდება. ჩამოთვლილი მიხეხებისა გამო წინარეხი მეტის-მეტად დაქვეითებულია მატრიადურად. რომ ეს ასეა, დასამტკიცებლად ბევრი ფაქტები არაა სჭირო, სკამარისა მარტო ის გარემოება, რომ სკალაში მოსწავლენი დაბდლები-დაფუთილნი (თითქმის ძონსებში გახვეულები) და ფეხშიშეუღნი დაიარებიან, თუნდა უნდა და თოვლიც იყოს. მეტის-მეტი სიდატაკე აძიულებს წინარეხელებს, რომ ხან-გამოშებით ეძიონ საშუალო სხვა ადგილებშიც. ამ რიგად ბევრი მათგანი ხსენვარსად ზრდელტარაია, მდინარეების ისეთებიც, რომლებიც თითქმის საშუალოდ მოჭეშობრებას წინარეხის მიდამოს და დიურის საშუალოთი ირჩენენ თავს. მაშასადამე, სრული ზრდელტარაიტებიც ჭეოლია წინარეხს.

ამისთანა მცირე და მწირ სოფელს, როგორც წინარეხი, უნდა შეუდგინოს სკოლას გაუდგეს და ან ასეთი დაწესებულება როგორც სერთოდ სკოლას, საკეთილდ გამოიყენოს? მაშ, რამ აძიულა „ქ. შ. წ.-კ. გამაგრებელი საზოგადოება“. რომ ამისთანა ადგილს დაასრას სკოლა? განა წინარეხსეუდ დიდი და მდიდარი სოფელი ცოტა იყო მაშინ, სადაც სკოლები არ იყო ჯერ დაარსებული? თუკი სამინისტრო სკოლების წარმომადგენლებნი ცდილობდნენ სკოლები დაეარსებინათ ისეთ სოფლებში, რომლებსაც სკოლის გადღობა და შენახვა შეუძლოთ, რატომ „ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებამ“-კი არ მიიღო მხედველობაში სკოლის გასწის დროს ეს გარემოება? შეიძლება „ქ. შ. გ. საზოგადოება“ ფიქრობდა, რომ წინარეხისთანა სოფლებს უფრო ესაჭიროება სკოლა-განათლება; ამაზედ მეც დაგვიანხმები, მაგრამ, გარემოებანი დაწინდელი წეს-წყობილება რომ გავითვალისწინოთ, წინარეხისთანა ადგილს დაწესებული სკოლები მარტო მაშინ გამოადგენ ჯერჯერ ხსოფს, რადესაც: 1) მათ საკმარის მატრიადურ დახმარებას მისცემენ, 2) იძულებულ ჭეოფენ მცხოვრებლებს, რომ სასკოლოდ მომწიფებული ბავშვები ეგვლამ ატაროს სასწავლებელში, 3) იძულებულ ჭეოფ მცხოვრებნი, რომ სწავლის დროს არაფერ მოაქვინონ მოსწავლე უმახეზოდ და სს. წინადადეგ შემთხვევაში სკოლა წინარეხისთანა ადგილებში უდროვო იქნება. „საზოგადოებაც“, ეტეობა, სკოლის გასწის-დანვე დაწმუნებულა, რომ წინარეხი მარტო ვერ გაუდგებოდა სკოლას და ამისათვის ცდილა სკოლის შენახვაში მოხწილება მიუღებინა მთელ ვავთურის ხეობაში აქა-იქ ახლად დაარსებულ მთიულებისათვის და სოფ., უდათგარისათვის, რომლებიც ისე დაშორებულები არიან წინარეხიდან, რომ არც ერთი მათგანი სკოლით ვერ ისარგებლებს და არც უსარგებლბია. როგორც ვსთქვით, სკოლისთვის ხარჯს სოფლებიც იხდიან, ფაქტიურად-კი სკოლა მარტო წინარეხელებს ეკუთვნის. სკოლა რამდენისამე წლის განმავლობაში მოთავსებული იყო სოფლის ძველ სამ-მართველოდ თუ სატუსადლო ნამუფოს სსლში, რომელიც თავის გარეგნობით სდორეს უფრო მოკავსებდათ, ვიდრე სკოლასა. ორი ზატარა ბინძური ოთახი: საკლასო და მასწავლებლის სადგომი, ორივე ათსხანი უბედურობით მოცული. სიცივის დროს ცეცხლის ანთება შეუძლებელი ხდებოდა ევარგისი ბუხრების გამო; ცეცხლის ანთებისთანავე დატრიალდებოდა ბოლის კორინტელი, რის გამოც სწავლა შეუძლებელი ხდებოდა; ამასთანავე მასწავლებელსაც და მოსწავლეთაც ისე ეგსებოდათ თვალები ცრემლებით, რომ მხსნელს ეკრებოდა თავახთ მკვდრებს ტირიანო. წვიმის დროს ორივე ოთახებში ხდებოდა უსიამოვნო წკრავი ჩამხანუდენთ წვეთებისა. გარდუეული კედლები იუღენთებოდა და ნოტივდებოდა წვიმისაგან, რის გამოც კედლებზედ ნოტიოს სოკოები ზამთარ-ზაფხულ არ იღებოდა. არც ცხოველ მზიან დღეს იევენ მასწავლებელ-მოსწავლენი ამ შენობაში სსურველს მდგომარეობაში. მზის სხივის შემუქებისთანავე შრბას დაიწებდა გაუღენთილი შენობა და უშვებდა სუნს. ამასთან მასწავლებლის სადგომი ოთახი ჩაცრით იყო გაღვნილი და დღეში ოთხჯერ რომ დაგვილიყო, მაინც ისე ხაკვით იყო სავსე, რადგან სველი ნაცარი კედლიდან განუწყვეტლად ჩამოდიოდა. ამისთანა ოთახში მასწავლებელს საჭმელიც შიგ უნდა ეხარბა, სტუმარიც იქვე მიეღო და სს ასეთ გარემოებაში მუთო მასწავლებელს არც შეუა ჭქინდა სოფლიდან თავის დროსეუდ და არც ჯამაციარი. მე თვითონ მოწამე ვარ იმისი, რომ რადესაც მასწავლებელი მოხეზრებული ხალხისა და ადგილობრივი მოხელებების მუდარით შეშის მოტანის შესახებ და კმაყოფილება ვერ მიუღია, უგზავნია სკოლის მასხური 15 წლის ბიჭი მხდებელს





ტეში და ზურგით უზიდვინებია შეშა, რომ მით სწავლის გა-  
თავების შემდეგ კვერცხები მაინც მკეხარა თავისთვის.

წინარეხის მასწავლებელი იდებს თავ-თავის დროზედ მხო-  
ლოდ იმ დამატებითს ჯამაგირს, რომელსაც „ქ. შ. წ.-გ. გ.  
საზოგადოების“ გამგეობა აძლევს, სახელდობრ: 9 მან. 17 კან.  
თვეში. ახს ამ თანხით მასწავლებელმა ჩაიგვას, დაიხუროს, სვას,  
ჭამოს, უურნალ-გაზეთები გამოაწეროს, თუ ახალი წიგნები  
იყიდოს! რომ სოფელიდან იქაური მასწავლებელი ჯამაგირს თა-  
ვის დროზე ვერ იღებდა, ამას იქ მეოფე მასწავლებლები ყვე-  
ლანი (ყველას ვიცნობ) ერთხმად ადიარებენ და, მგონი,  
„წ. გ. გ. საზ.“-ც დაემოწმება. აქ უფოთა ისეთი მასწავლე-  
ბელიც, რომელსაც მთელი 13 თუ 14 თვე ჯამაგირი ვერ  
აუღია და როდესაც იქიდან ამის გამო გადასულა სხვაგან,  
სახიფრებით ძლივს ხუთის წლის შემდეგ შეუსრულებია თავისი  
ჯამაგირი.

ერთადე სიტუვა წინარეხის კორესპონდენტის შესახებ  
(„კვალი“ № 4); კორესპონდენტი ბახებს: „ყველა კრკვევა დრმა  
ძილისგან და ადგება ახალ გზას, მაგრამ ეს ბედ-შავი წინარეხი  
ამ ახლის ხანის ფარგალში არ მოჭყლდია“-ა და ამ წინარეხის  
ბედ-შავობას აბრალბს ყველა იქ ნამყოფ მასწავლებლებს, რომ  
მელთა მოდგაწეობას და ზიარებებს მიწასთან ასწარებს.

წინარეხი მართლაც ბედ-შავი სოფელია, მაგრამ მისი ბედ-  
შავობის მიზეზი იქ ნამყოფი მასწავლებლები-კი არ არიან, არა-  
მედ იქაური კონომიური ვითარება. „მასწავლებელი უნდა ნამ-  
დვილი კეთილ-მოდგაწე იყოს, რომ იზრუნოს ჩვენი ერის სა-  
კეთილ-დღეოდ“ (სიტყვები კორესპონდენტისა)—მართალია და  
რომ სწორედ ესეთი მასწავლებლები შექნებდრია წინარეხს, ამას  
ბევრი დამტკიცება არ უნდა.

წინარეხის სკოლას რომ სრულიად არავითარი ზედ-გაგლეხა  
არა ჰქონდა წინარეხელებზე, მაშინ კორესპონდენტი მართალი  
იქნებოდა და იქ ნამყოფი მასწავლებლებიც უფარგისი იქნებოდენ.  
სოფლის მცხოვრებთა <sup>1</sup>/<sub>8</sub>-ზედ მეტი წერა-კითხვის მცოდნეა.  
ზოგნი აქაური წერა-კითხვის მცოდნენი დათხოვდენ და მით  
სხვა სოფლებშიაც გადაიდეს <sup>1</sup>/<sub>10</sub> წერა-კითხვის მცოდნეთა. არა  
ერთს იქაურს მასწავლებელს შეუკრეფია ხალხი და საგულის-  
ხმიერა წიგნები უკითხავს და კეთილი დარიგება უძღვნია მათ-  
თვის. ს. მადლაშვილის ქალსა და ღ. მათიკაშვილს ასეთი  
ქცევა ხომ ჩვეულებათაც ჰქონდათ გადაქცეული. მადლაშვილის  
ქალმა კიდევ ის სიკეთე შესძენა წინარეხელებს, რომ მათ  
მოზარდ ქალებს მშენიერი ხელ-საქმე ასწავლა. ეს მტკიცდება  
იმითაც, რომ თთილისის დიდმა გამოფენამ წინარეხის სკოლის  
მადლაშვილის ქალის მასწავლებლობაში მასწავლეთა ხელ-საქმის  
ნიმუშებისათვის ბრანჯარს მედელი მიუსჯა. რამ აიძულა ს. მა-  
დალაშვილის ქალი, რომ აქ სრულიათი წელიწადი დაჩენილიყო  
და ღ. მათიკაშვილი, რომ აქ ორ წელიწადზედ მეტი გაეტარე-  
ბინა, თუ არ თავ-განწირულობამ წინარეხელების საკეთილ-დღეოდ.  
თუ იგინი ერის კეთილ-დღეობით არ იყვენ ადჭურვილნი, ვერ  
აიტანდენ იმ გარემოებაში უფთხას, როგორც არის საერთოდ  
მასწავლებლის მდგომარეობა და განსაკუთრებით წინარეხის მა-  
სწავლებლისა. ესენი რომ წინარეხში არ უფოთლიყვენ და სხვაგან  
ემოდგაწნათ, მათი მოდგაწეობა უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებ-  
და. აი, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ წინარეხში მასწავლე-  
ბლები დიდ ხანს ვერა რჩებან და გარბიან. გარბიან იმისთვის-  
კი არა, რომ საქმეს გულ-ცივად ეპურებიან, არამედ იმისთვის,  
რომ სხვაგან უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებს მათი გულმოდგინე  
შრომა. გარბიან კიდევ იმიტომ, რომ შეშას, მსახურსა და  
ჯამაგირს თავის დროზედ არ აძლევენ.

კორესპონდენტის სიტყვები: „წ. გ. საზოგ. გამგეობა“  
რევიზიას იშვიათად გზავნიდა—უსათუქლდა. „საზოგადოების“  
გამგეობა უფელ წელიწადსა ჰგზავნი ვისმეს წინარეხის სკოლის  
სარევიზიოდ.

მე იმ აზრის ვარ, წინარეხის მასწავლებლის მოდგაწეობა  
სყოფელთაოდ თვალ-საზიარ ვერ განდება და ისევე ესლანდელსავით  
წინარეხი ბედ-შავად დაჩება, თუ მისი კონომიური მდგომარეობა  
არ შეიცვალა.

წინარეხის დაწინაურების მონატრე ლ.

### შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი

გუბერნატორების, ქალაქის უფროსების და აბერ-პოლიცეის-  
ტრების მიმართ.

მებერვლის ბოლო რიცხვებში და მარტის დასაწყისში იმპერიის  
ზოგიერთ ადგილებში ქუჩებში მოხდა უწყისობა და დაირღვა საზო-  
გადო წესიერება და მშვიდობიანობა. წარმოდგენილი ცნობებიდან  
მე დავინახე, რომ, თუმცა ადგილობრივ მმართველობის მიერ მი-  
ღებულ იქმნა ზომები უწყისობათა მოსასობლათ, მაგრამ ბევრ შე-  
მთხვევაში პოლიციის განკარგულება და მოქმედება ვერ შეეფერე-  
ბოდა საქმის მოთხოვნას, რადგან საქმე უფრო სისწრაფითა და გამ-  
ბედაობით მოქმედებას საჭიროებდა, რომ დაწყებული არეულობა  
დაუყოვნებლივ მოსობილიყო. გარდა ამისა, საყურადღებოა ისიც,  
რომ პოლიციის საკმაოდ შეგნებული არა აქვს, რომ მის მოვალე-  
ობას შეადგენს არა მარტო დაწყებულ უწყისობის მოსობა, არამედ  
ისეთი ზომების მიღებაც, რომლის შემწეობით შესაძლებელი შეი-  
ქნეს არეულობის დაწყების თავიდან აცდენა. ამგვარი მოქმედება  
უფრო საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც უწყისობა ქუჩებში ხდე-  
ბა, რადგანაც პოლიციის სიფრთხილეს შეუძლია თავშივე მოსობს  
არეულობა, თუ დროზე და სისწრაფით მიიღებს ზომებს და თავი-  
დანვე შეუშლის ხელს ხალხის შეგროვებას.

სამწუხაროთ, მე შევამჩნიე, რომ პოლიცია სწორეთ არეუ-  
ლობის დაწყების დროს ვერ იჩენს საჭირო მხნეობას და ვერ ახდენს  
შესაფერს განკარგულებას, რომ უკვე დაწყებულ არეულობის წინა-  
აღმდეგ უფრო სასტიკი საშუალება იქმნას მიღებული; ხოლო ეს  
სასტიკი საშუალებანი შეიძლება საჭირო აღარ გამხდარიყვენ, თუ  
რომ პოლიციის თავშივე მიეღო შესაფერი ღონისძიებანი. აგრეთვე  
არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ უფროსები ხშირათ იგვიანებენ და  
არ სარგებლობენ ყველა ჯარებით და პოლიციელთა დარაჯებით,  
რომელთაც გამოიწვევენ და რომელნიც საჭირონი არიან არეულო-  
ბის მოსასობლათ. მაგალ., ერთ შემთხვევაში პოლიციამ რამდენი-  
მე საათის წინ იცოდა, რომ შეგროვილი ხალხი უწყისობის მოხდე-  
ნას აპირებდა და ისიც გაგებული ჰქონდა, საით აპირებდა ეს გრო-  
ვა წასვლას, მაგრამ დროზე არ მოიხმარა ძალა გროვის გასაფანტა-  
ვათ; ყურადღებას იწვევს ისიც, რომ გარდა იმ პირებისა, რომელ-  
ნიც ემზადებოდენ უწყისობის მოხდენისათვის, ახლო-მახლო ადგი-  
ლებში იკრიბებოდენ სხვები და იქ ელოდენ შემთხვევას არეულო-  
ბის დამწყებთან შესაერთებლათ. ამ ყრილობათა გასაფანტავათ პო-  
ლიცია არავითარ ღონისძიებას არ ხმარობდა და მოქმედებას მხო-  
ლოდ მაშინ იწყებდა, როდესაც რამდენიმე ასი კაცი შეერთდებო-  
და, უწყისობის მოხდენას შეუდგებოდა და აღარ ემორჩილებოდა  
პოლიციის მოთხოვნას.

მეორე შემთხვევაში ქუჩის უწყისობა მოხდა შუადღის დროს.  
პირველათ მონაწილეობა მიიღეს 150 კაცამდე, მაგრამ ხალხს თან-  
დათან ემატებოდა და სადამომდე იმოდენა ხალხი შეიყარა, რომ  
იმის გასაფანტავათ ჯარების მოწვევა შეიქმნა საჭირო. ხოლო წინ-  
დაწინვე რომ ღონისძიება მიეღოთ და ხალხისათვის შეგროვების ნე-  
ბა არ მიეცათ, ეტვი არ არის, ბევრი ხალხი ვეღარ შეიკრიბებოდა.  
მე ისეთი შემთხვევაც ვიცი, რომ ხალხი თანდათან იკრიბებოდა და  
ისიც აშკარა იყო, რომ ის რაღაცა აღკრძალული მიზნით იკრიბე-  
ბოდა; პოლიციაც ჰხედავდა ამას, მაგრამ სხვა ღონისძიება არა მი-  
იღო-რა, გარდა იმისა, რომ ხალხს სუსტათ ურჩევდა დაიშალენი-  
თა, და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დაიწყო უწყისობის მოხდენ-  
თა ფანტვა. თავის დროზე ღონისძიებათა მიუღებლობით აიხსნება  
ის გარემოებაც, რომ ერთ შემთხვევაში ხალხს შეიძლება მისცეს შე-





კრებილიყო ისეთ ადგილას, სადაც დროებით დატუსაღებული იყვენ უწყსოების მომხდენი; შეკრებილმა ხალხმა მოლაპარაკებაც-კი გამართა დაჭერილებთან. დასასრულ, არა ერთხელ პოლიციის მოხელეები, იმის მაგივრათ, რომ ხალხისათვის ქუჩებში შეკრების ნება არ მიეცათ, მხოლოდ მაშინ დაიწყებდნენ ხალხის გაფანტვას, როცა უკვე ბლომათ იყო შეკრებილი. ეს ხალხი მანამდე დაუბრკოლებლივ დადიოდა ქუჩებში ხმაურებით, ყვირით და სიმღერით, თანაც ცნობის-მოყვარე და სხვა უსაქმო ხალხი დასდევდა.

საზოგადოებრივი წესისა და მშვიდობიანობის დაცვა, შფოთისა და უწყსოების მოსპობა და ამით მოსასპობათ შესაფერის ღონისძიების მიღება შეადგენენ პოლიციის მოხელეების პირდაპირს მოვალეობას, ხოლო გუბერნატორებსა, ქალაქის უფროსებსა და ობერ-პოლიცმეისტრებს კანონი ავალებს, რომ, როცა ხალხი უწყსობას იწყებს, იმათ ყველა საჭირო ნამდვილი და შესაფერისი ღონისძიება მიიღონ ამ უწყსობათა მოსასპობათ. ამ საგნისათვის იმათ ნება აქვთ მოითხოვონ ჯარებისაგან შემწეობა და, თუ აუცილებლათ საჭირო შეიქნა, ძალითა და სასტიკობით ბოლო მოუღონ არეულობას.

მე შეუძლებლათ მიმაჩნია რაიმე ზედ-მიწვევითი დარიგების მიცემა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებით უნდა მოისპოს უწყსოება, რადგანაც ეს ღონისძიებანი ნაჩვენებია, ერთის მხრივ, კანონებში, ხოლო მეორეს მხრივ, იმათ მოხმარება ხშირად დამოკიდებულია დროისა და ადგილობრივი პირობებისაგან; მაგრამ, რადგანაც კანონისაგან დავალდებული ვარ იმპერიის შინაგანი უშიშროება დავიცვა, საჭიროთ მიმაჩნია ვაცნობო ბ-ნთ გუბერნატორებს, ქალაქის უფროსებს და ობერ-პოლიცმეისტრებს უმთავრესი მოსაზრებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მე უფრო შესაფერისად მიმაჩნია არეულობის დროს.

ის ღონისძიებანი, რომლებიც უწყსოების წინააღმდეგ მიიღებიან, განიყოფებიან სამ ნაირათ: 1) ღონისძიებანი, რომელნიც მიიღებიან იმ აზრით, რომ უწყსობა არ მოხდეს; 2) მომხდარი უწყსოების მოსასპობლათ და 3) დარღვეული წესის აღსადგენათ. პირველი მიზნის მისაღწევათ საჭიროა წინდაწინვე იქმნას გაგებული განზრახვა და მზადება არეულობის მოსახდენათ. ხოლო ამის გასაგებათ-კი აუცილებელია პოლიციას მკაცრი თვალ-ყური ეჭიროს მცხოვრებლებზე. განსაკუთრებით საჭიროა თვალ-ყურის დევნება ხალხის იმ ნაწილებზე, საიდანაც უფრო მოსალოდნელია არეულობის მოხდენა. ასეთი ცნობების მიღებისთანავე პოლიციამ უნდა გააძლიეროს თავისი რაზმები და არეულობის განმზრახველთ ნება არ მისცეს ერთად შეერთდნენ და იმოქმედონ. ამისათვის პოლიციის მოხელეთ თვალ-ყური უნდა ადევნონ ქუჩებში ან ტროტუარებზე მიმავალ, ან გაჩერებულ რამდენიმე კაცთაგან შემდგარ ჯგუფებს და დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვონ, რომ ისინი დაიშალნენ. ეს მოთხოვნა უნდა მიემართოს თავაზიანათ, მაგრამ ავტორიტეტულათ ყველას, მიუხედავათ ღირსებისა და ჩინისა, პოლიციის მოხელეთა კანონიერი მოთხოვნა ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ ასრულებს პოლიციის ამგვარს მოთხოვნას, უნდა გაახსენონ—რა შედეგი მოჰყვება მის ურჩობას და თუ ამის შემდეგაც არ ასრულა პოლიციის ბრძანება, მაშინვე შეპყრობილ უნდა იქმნას და გაიგზავნოს პოლიციის მახლობელ განყოფილებაში ოქმის შესადგენათ.

მაგრამ, თუ, მიუხედავათ მიღებულ ღონისძიებათა, უწყსოების მოხდენის მსურველნი მაინც შესძლებენ და დაიწყებენ მოქმედებას, ე. ი., მოახდენენ ყრილობას, დაიწყებენ ყვირლოს, სიტყვების წარმოთქმას, პოლიციის ზომების წინააღმდეგობას, მაშინ პოლიციის მოვალეობათ ხდება დაუყოვნებლივ მიიღოს უსასტიკესი ღონისძიებანი არეულობის მოსასპობლათ და ამასთანავე ეცადოს აგრეთვე დაუყოვნებლივ გაფანტოს ქუჩიდან გარეშე მაყურებელნი, რომელნიც ხშირათ ხელს უშლიან პოლიციის მოქმედებას. უთუოდ საჭიროა ამ შემთხვევაში პოლიციამ გამოიჩინოს სისწრაფე, ენერჯია და სიმტკიცე, რომ მაშინვე გაფანტოს არეულობის დამწყებნი; თორემ დაგვიანება და დასაწყისშივე სისუსტის გამოჩენა გაამხნევებს უწყსოების განმზრახველთ და გააძლიერებს არეულობას, რაიცა გამოიწვევს უკიდურეს საშუალებათა მიღების საჭიროებას. ამ დროს პოლიციის ყველა მოხელენი გამსჭვალულნი უნდა იყვენ ერთი აზრით: უთუოდ აღდგენილ იქმნას წესიერება; ამ საგნის განხორციელებისათვის უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომები და ძალაც მოიხმარონ. პოლიციის ნაყოფიერ მოქმედებისათვის ამგვარ შემთხვევებში

აუცილებლათ საჭიროა, რომ ყველა განკარგულებას ახდენდეს ერთი კაცი, რომელიც იქვე უნდა იყოს, სადაც არეულობა არის. ჩემი აზრით, უმჯობესია განკარგულების გამცემი და პოლიციის ხელმძღვანელი იყოს თვით ადგილობრივი გუბერნატორი, ხოლო თუ ეს რაიმე მიზეზისა გამო შეუძლებელი დარჩა, გუბერნატორის მიერ დასახელებული ვინმე უფროსი მოხელე. ქარაის არ უნდა მიეცეს ნება ჩაერიოს პოლიციის განკარგულებაში; თუ ვინმე მოიქცევა ასე, დაუყოვნებლივ უნდა შეპყრობილ იქმნას, მიუხედავათ მისი ღირსებისა, ჩინისა და სამსახურისა. პოლიციის დაბალ მოხელეთ (პოლიციელთ) არ უნდა ეძლეოდეთ ნება თავის ნებით იმოქმედონ; მათ შეუძლიანთ გამოიჩინონ თაოსნობა მხოლოდ რაიმე საგანგებო შემთხვევის დროს.

თუ პოლიცია თავის ძალით ვერ შესძლებს არეულობის მოსპობას, კანონი ავალებს მას გამოიწვიოს ჯარები. მაგრამ ამ ღონისძიებას პოლიციამ მხოლოდ მეტათ სერიოზულ შემთხვევის დროს უნდა მიჰმართოს, რადგანაც სასურველი არ არის ხალხი შეეჩვიოს ჯარების წამ და უწყმ გამოწვევას და უმოქმედოთ გაჩერებას. პირიქით, ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ჯარების გამოყვანა იმას მოასწავებს, რომ არეულობის დამწყებთა წინააღმდეგ იარაღი იქნება ხმარებული. ნათქვამი შეეხება ქვეითა ჯარების გამოწვევას; რაც შეეხება ცხენოსან ჯარს, დროით მისი გამოწვევა იმ შემთხვევაშია-კი, როდესაც იარაღის ხმარება არ არის საჭირო, შესაფერისიც არის და სასურველიც.

როდესაც, სამოქალაქო მმართველობის გამოწვევით, ჯარები მოვლენ, ხსენებულ მმართველობის წარმომადგენელს კანონით ნება არა აქვს თავის სურვილის მიხედვით ისარგებლოს ჯარის კაცებით; მან ჯარის უფროსს უნდა აუხსნას საქმის გარემოება და აღუნიშნოს განსაზოტციელებელი საგანი; შემდეგ სამოქალაქო უწყსობის წარმომადგენელის მოვალეობაა, როდესაც დინახავს, რომ პოლიციას აღარ შეუძლია უწყსოების მოსპობა, აღნიშნოს დრო, როდესაც ჯარებმა იარაღი უნდა იხმარონ.

არეულობის მოსპობისა და უწყსოების ჩამდენთა გაფანტვის შემდეგ პოლიციის მოქმედებამ მშვიდი და ნორმალური ხასიათი უნდა მიიღოს, პოლიციის მოხელეთ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ კანონი არ აძლევს დამნაშავეთა დაჩჯის ნებას; მათი საქმეა მხოლოდ ეცადონ არეულობის მოსპობას და როდესაც ეს საგანი განხორციელებდა, უნდა დამშვიდდნენ და მხოლოდ იმას მიაქციონ ყურადღება, რომ გამოძიება ნორმალურათ და წესიერათ სწარმოებდეს. ამიტომ უფროს მოხელეთ თვალ-ყური უნდა ეჭიროთ პოლიციელებზე და არ უნდა აძლევდნენ მათ არეულობის მოსპობის შემდეგ ძალის ხმარების ნებას.

წინადადებას ვაძლევ გუბერნატორებს, ქალაქის უფროსებს და ობერ-პოლიცმეისტრებს სავალდებულო სახელმძღვანელოთ მიიღონ ჩემი შენიშვნები; მე მტკიცეთ მრწამს, რომ თუ ადგილობრივი მმართველნი ბეჯითად, გონიერულათ და მკაცრათ მოეკიდებიან საქმეს, ქუჩებში არეულობის მოხდენას ადგილი აღარ ექნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი სიზიაგინი.


რუსეთის მხომრება.

ზედმწიფე იმპერატორმა სსრტიკი შენიშვნა გამოუცხადა სსხედმწიფო საბჭოს წევრს გენერალ-ლეიტენანტს თავ. ვიაზკოსკის ქუჩებში უწყსობათა მოხდენის დროს ჰელიციის მოქმედებაში ჩარევისათვის.

შეტკბურგის სამოსმართლო ჰელატამ, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, 17 მარტს განიხიდა საქმე გამუდმის მოქალაქის ჰეტრე ვლადიმერის ძის კარზოვიჩის, რამელსაც ჰბრადდებოდა წინდაწინვე განზრახვით მოკვდა სერო განათლების მინისტრის ბოგალეპოვის; ჰელატამ დაადგინა: ბრადდებული კარზოვიჩი, 26 წლისა, დამნაშავედ იქმნას ცნობილი, ჩამოერთვას მას უოველკვარი უფლებანი და გაიგზავნოს კატორგაში ოცის წლით.

„Правит. Вѣст.“-ში გამოქვეყნებულია ბეკდვითი საქმის მთავარ გამკეობის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია,





რომ „რუსეთის დებუშთა სააკტოს“ მოქმედების გასაუმჯობესებლად, შინაგან საქმეთა მინისტრმა საჭიროთ სენო, 1894 წ. 18 დეკემბრის ხელ-შეკრულების 1-ლ მუხლის თანხმად, შინაგან სააკტოს მოქმედების გამკაცლებას განსაკუთრებულს კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეც სსსს-ზე გადგომის საბჭოს ერთი წევრი იქნება; საზოგადოებრივად მოსახერხებელსა სააკტოს საქმეების დაკავებას თვით ბეჭდვითი საქმის მთავარ გამკაცლებას.

◆ 13 მარტს რატაუზის სასამართლოში განხილულად დანიშნულია გელსინგუორსში 5 თებერვას მომხდარ მინიფისტრაციების საქმე. სასამართლოში მიტეულნი არიან ვაჭარ შებლოში, ლიტერატორი ვერნერ ლენიკი, ინჟინერი ასეი, არხიტექტორი სენკ ანდრესიანი, კაპიტანი ბილდუ და ფილანთოვის მაგისტრი მალსტრემი. გამოწვეულია თარმეტი მოწამე.

„Рус. Инв.“-ში დაბეჭდილია: „ხალიჩის ჯარის უფროსად ნამუფიშა გენერალ-მაიორმა ორლოვმა ბრძანება მიიღო ციციკარის დაპყრობის შემდეგ ზრიაშურის სამხედრო ოლქის უფროსისაგან—მოკლე საეტაპო გზა ციციკარსა და ხალიჩის შუა; გენერალმა ორლოვმა ვერ მოისახრა საქმეთა მდგომარეობა ჩრდილოეთ მანჯურიაში, არ ასრულა ბრძანება და უკან გაჰყვა გენერალ-მაიორის რენენკამიშის ჯარს; რომელიც ქ. გრინისკენ წავიდა. ხელმოწევა იმპერატორმა, მოისმინა-რა ეს ამბავი და მიიღო-რა მსგავსებაში დავალი გენერალის ორლოვისა, უმაღლესად ბრძანა—არ მისცენ საქმეს კანონიერი მსვლელობა, მხოლოდ ორლოვს გამოეცხადოს უმაღლესი საუკუდური“.

◆ სახალხო განათლების სამინისტროს წარდგინილება, რომელიც ახლებს სახალხო კითხვათა გამართვის საქმეს, შესამჩნევად შეუძრავიათ, სხვა უწყებათა თავ-გამოდებით სახალხო კითხვათა გამართვის საქმე ამ ცვლილების წყალობით დიდთ აღვიდება, ნება-დართულია არა მარტო კითხვა წიგნებისა, არამედ უწიგნოთ საუბრების გამართვა და ლექტორობის ნება ეძლევათ არა მარტო სასულიერო წოდების და სამოსწავლო უწყების კაცთ, არამედ სხვათაგან, მთავრობის ნება-რთვით, რასაკვირვებელია.

◆ ფინანსთა სამინისტრო შესდგამია ზრიაშურის შემოღებას მუშათათვის ქარხნებ-ფაბრიკებთან სკოლებს დაარსების შესახებ და ამასთან სახეში ჰქონია კანადელით ეფექტურად განმანათლებელ დაწესებულებას დაარსება, რომელთა რიცხვს ეკუთვნის სამოსწავლო სახელოსნოები, საკვირაო და სადამოც კლასები, კურსები და სხ.

◆ 18 მარტს ოდესში გაიხსნა სტამბის საქმის დაგრდომილ მუშათა თავ-შესაფარი განმანათლებელ დაწესებულებათა განყოფილებით ს. ს. ზუშკინის სახელზე.

◆ „რუსკი ვესტ.“-ის სიტყვით, იურიევის (დონბატის) უნივერსიტეტის რექტორს გამოეცხადება, რომ სსსს-ზე უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დროებით შეწყვეტილია.

◆ ტომისკის (ციმბირში) რაიონის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის დიდი ეკონომიური კრიზისი დაუდგა. თუმცა ჯერ არც ერთი ქარხანა არ დახურულა, მაგრამ შემოკვეთილი საქმეების სიმცირისა გამო ძალიან შეამოკლებს წარმოებას; წარმოების შემცირების გამო მრავალი მუშა უაღაგოთ დარჩა და იძულებულია მიმართოს ადგილობრივ წვრილ შინა-სახელოსნოებს ჰატრონებს და დაქირავოს მცირე ფასში. ამასთან საკვირვებელია, რომ არც ტომისკში და არც ციმბირის სხვა ქალაქებში არ არსებობს სპეციალური ქარხანა ძვირფას ბეწვან ტყავების დასამზადებლათ, რის გამოც ციმბირის მკვიდრთა საქმეები, ძვირფას ბეწვან ნადირის ტყავები, ისე იფარ და თითქმის მუქად უყარდებათ ხელში ადგილობრივ ბაზრების ჩარხ-ბაცანებს და შემდეგ ადგი-

ლობრივად დაზარებული ტყავის ქურქები კაცილებით დიდად იყიდება, ვიდრე სატანტო ქალაქებში.

ს ა მ ტ ვ ა რ გ ა რ ე თ.

**ინგლისი.** ინგლისში ამ ბოლო დროს თანდათან ვრცელდება სამხედრო იდეები და ღვივდება სამხედრო გრძობები. ინგლისელები თავის თავს დამცირებულათ სოფლის ქვეყნის თვალში ტრანსვალის ომის გამო და ემზადებიან მხედრობის კაძლიერებით ხელ-ახლა მოაზროვნ წინანდელი სახელი. „ამ ოცდა-ხუთი წლის წინათ, სწერს ერთი ინგლისური გაზეთი, ყველა ინგლისის სახელზე ღმერთობდა. ინგლისი იყო ზირველი ქვეყანა. უცხოელი უბრალო ვაჭარიც-თავს იწონებდა იმით, რომ მისი საქმეები ინგლისში გაკეთებულა. საფრანგეთში, გერმანიაში და რუსეთში მარტო ინგლისურ ლიტერატურას სწავლობდენ გულ-დასმით. ჰერბერტ სპენსერი და ღარვინი ბატონობდენ ფილანთოვიაში და მეცნიერებაში. ინგლისელებმა გამოიგონეს ზოლიტიკური ეკონომია და როცა მათი სახელმწიფო კაცი თითს დაადებდა ქვეყნის რომელიმე კუთხეს და განაცხადებდა: ეს ინგლისს ეკუთვნის—ყველა დანახეი სახელმწიფოები ქედს მოიდრეკდენ. ორმოცი წლის წინათ, როცა ზაღმურსტონი ხმას აღამდლებდა, მთელი ქვეყანა შეინძრებდა... ჩვენ მოვიზოვეთ ასეთი სახელი და აი, დღეს იგი დაგვარკეთ... მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ნაციონალური მხედრობის კაძლიერებით ხელ-ახლა ადვადკნთ იმას, რაც დაგვარკეთ. ჩვენ მხოლოდ ჩვენი ძალ-ღონის იმედი უნდა გვქონდეს და თუ მართალია—ერები სოციალური ორგანიზმია, უტკველათ ისინი მზათ უნდა იყვენ არსებობისათვის საბოძლო ველათ“.

„ახლოვებს ეს გავლენიანი გაზეთი. ეს სტრატეგები ნათლათ ხასიათებენ დევანდელი ინგლისის სულის კვეთებას და რაღა განაკვირვებია, ის სადმე ომით სახელის აღდგენს ეძებდეს. ამით აიხსნება ის ქარტეხილი, რომელიც ინგლის-რუსეთის შეჯახებამ (ტიან-ძინში) გამოიწვია ინგლისში. მთავრობის შესაძომევე გაზეთი „სტანდარტი“ აი რასა სწერს ამის შესახებ: „ამ შეჯახებაში საუურადლებათ არა ის ერთი ნაჭერი სადაც მიწა, არა, აქ სულ სხვაა, კაცილებით უფრო დიდი საგანია სადაცთ გადაქცეული, ეს არის თვით ჩვენი სახელი, ჩვენი ზრესტიკი. რუსეთის მუქართ და ძალ-დატანებით უკან დახევა—ეს ისეთი გამათასირებელია ჩვენითვის, რომ ფიქრად-ვი მეძნელება ამზე. ზირ-იქით, რუსეთი უნდა ვაძიოლოთ უკან დაიხიოს, თუნდაც ამასთვის მთელი ჩვენი ძალ-ღონის ამოძრავება დაგვიწოდეს“... ერთი სიტყვით, სამხედრო გრძობა თანდათან ღვივდება ინგლისში და მოსალოდნელია, ეს მშვიდი და გამრჯე ერთი სამხედრო ერთ გადაიქცეს. და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ, უტკველია, ძირიანათ შეიძვლება ევროპის ერთა განწყობილება.

ს ა ზ რ ა ნ ე მ ი თ ი.

ბერების კონგრეგაციების შესახებ გახონ-ზრექტი ზარლამენტმა უკვე მიიღო და წარუდგინა სენატს დასამტკიცებლათ. ზარლამენტის სნდომები გადაიღვა ერთი თვით. მინისტროთა ზრეზიდენტს ვაღდეკ-რუსის ამას წინათ მოღაზარაკებს ჰქონდა მარსელის მუშათა და ჰატრონთა დემუტატობთან იმ კაფიცივის შესახებ, რომელიც ეს ერთი ხანია დაიწყო მარსელში და რომელმაც არეულობა გამოიწვია ქუჩებზედაც. ვაღდეკ-რუსამ დაითანხმა დემუტატები იმზე, რომ სამედიატორთა სასამართლოს გადაეცეს იმ კითხვის გადაწყვეტა, თუ რა სადავო საქმეები უნდა განიხილოს ორივე მოწინააღმდეგე მხრის საერთო სნდომამ. მუშები თხოულობდენ, რომ ამ სნდომზე ადომას ღმერთობა რვა საათის საშუალო დღეზე და სს., ჰატრონები-ვი არ შერებოდენ ამას. ახლა სნდომის ზრეგანმის შეიმუშავებენ





მედიკატორები, თუ ხატრებში ბოლოს და ბოლოს არ იყარეს თავიანთ დებულებების გადაწყვეტილებას.

— ამ უამდ ხარისხის მადლობის ნაქრებს დიდი ბრძოლა აქვთ საკვირად დასვენების შემოსაღებათ. კვირას, 10 მარტს, მდ. სენის მარცხენა ნაპირზე გამხნდა 50 ნაქრის ჯგუფი და დემონსტრაციების გამართვა დაიწყო კადებულ მადლობის წინააღმდეგ. შუადღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე ეს ჯგუფი სულ უფრო იზრდებოდა, ხერდებოდა და მადლობის წინ და განუწყვეტილად გაიძახდა: დაკეტეთ, დაკეტეთ, დაკეტეთო! აუარებელი ბრძოლა მისდევდა ნაქრებს და ბევრი კადეც უერთდებოდა მათ უფრდილით: „დაკეტეთ“. ღია მადლობები ერთი მეორეზე იკეტებოდა და ამ მადლობებიდან გამომავალი ნაქრები ამხანაგებს უერთდებოდნენ. ნაქრების უფრდილმა ბოლოს ჰელიციის ჩარევა გამოიწვია. შემდეგ კვირას, 17 მარტს, ნაქრების დემონსტრაციამ უფრო ფართო სახე მიიღო და ნაქრები ასობით, ორასობით და სამასობით ჯგუფ-ჯგუფათ დადიოდნენ დიდ ბუღვარებსა და ქუჩებზე ძახილით: „დაკეტეთ“! გასულ კვირისთვის კადეც უფრო დიდ დემონსტრაციებს მოელოდნენ.

